სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის დირექტორის ბრძანება

N37

წყალტუბო
თერნალი

6 [illegible] 2023წ.

სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის პროგრამის შემუშავებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების პროცედურების დადგენისთვის, მიზანშეწონილია შემუშავდეს და დამტკიცდეს სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის პროგრამის შემუშავებისა და განვითარების წესი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 ოქტომბრის N117/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წყალტუბოს კოლეჯის წესდების" მე-5 მუხლის „ი" პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურების განხორციელების მიზნით, თანდართული რედაქციის შესაბამისად დამტკიცდეს სსიპ - წყალტუბოს კოლეჯის პროგრამის შემუშავებისა და განვითარების წესი (დანართი თან ახლავს).
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11).

ნონა ჯაჯანიძე

კოლეჯის დირექტორი

სსიპ წყალტუბოს კოლეჯი
LEPL TSKALTUBO COLLEGE
221289031

დამტკიცებულია
სსიპ „წყალტუბოს კოლეჯის“ დირექტორის
2023 წლის 6 [illegible]ის N 37 ბრძანებით

პროგრამის შემუშავების და განვითარების წესი

წყალტუბო, 2023 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ წყალტუბოს კოლეჯის (შემდგომში - ,,კოლეჯი") „პროგრამის შემუშავების და განვითარების წესი" განსაზღვრავს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - ,,პროგრამა") დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების პროცედურებს;
2. კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან;
3. პროგრამა წარმოადგენს პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე კოლეჯის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის მიზნების; სწავლის შედეგების; კრედიტების; სწავლების და შეფასების მეთოდების; სასწავლო, მატერიალური და ადამიანური რესურსის და სხვა სპეციფიკის შესახებ;
4. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1, პროგრამის დონის შესაბამისად, გავლა სავალდებულოა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული იმ სტუდენტებისათვის, რომელთა შერჩევა განხორციელდა - ტესტირებით/მოტივაციური გასაუბრებით რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე;
5. ეს წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ", „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონების, ავტორიზაციის სტანდარტების და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. მიზანშეწონილობის დასაბუთება

1. პროგრამის შემუშავება იწყება დაგეგმვის ეტაპით, რაც გულისხმობს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ დასაქმების ბაზრის მოკვლევას;
2. დასაქმების ბაზრის საჭიროებების დადგენა შესაძლებელია განხორციელდეს:
   ა) კოლეჯის მიერ ჩატარებული მოკვლევით (პირველადი წყარო);
   ბ) სხვა ორგანიზაცი/ებ/ის მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზით (მეორადი წყარო).
3. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა შესაძლოა ეფუძნებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე გარემოებას:
   ა) დასაქმების ბაზარზე არსებული ან პროგნოზირებადი მოთხოვნა გარკვეულ უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება მოკვლევით ან დამსაქმებლების ინიციატივით;
   ბ) კოლეჯის პროგრამების სპექტრის გაფართოება;
   გ) თვითდასაქმების შესაძლებლობა, რაც დასტურდება მოკვლევით;
   დ) სხვა დასაბუთებული გარემოება.

მუხლი 3. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (შემდგომში - „მეთოდოლოგია") გამოიყენება პროგრამის დამატების შემთხვევაში კვოტის განსაზღვრის ან არსებულ პროგრამაზე კვოტის ცვლილების მიზნებისთვის;
2. მეთოდოლოგია ეყრდნობა პროგრამის სპეციფიკას, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტი) მოთხოვნებს;
3. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინება:
   ა) სტუდენტთა სამუშაო ადგილები და აღჭურვილობის რაოდენობა:
      ა.ა) A ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილია თეორიული მეცადინეობებისთვის, სადაც განთავსებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის (შემდგომში - „მასწავლებელი") და სტუდენტის მაგიდა და სკამი, დაფა, მასწავლებლის კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება. A ტიპის სასწავლო გარემოში სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება ყოველ სტუდენტზე მაგიდის და სკამის რაოდენობის მიხედვით;

ა.ბ) B ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, მასწავლებლის და სტუდენტის მაგიდით და სკამით, მასწავლებლის კომპიუტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით. B ტიპის სასწავლო გარემოში სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება ყოველ სტუდენტზე ერთი კომპიუტერით;

ა.გ) C ტიპის სასწავლო გარემო განკუთვნილი პრაქტიკული სამუშაოებისთვის, სადაც განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობა. C ტიპის სასწავლო გარემოში სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება ყოველ სტუდენტზე აღჭურვილობის სპეციფიკის შესაბამისი სამუშაო ადგილის რაოდენობით და სამუშაო სივრცის გონივრული თანაფარდობით სასწავლო გარემოს ფართთან;

ბ) პარტნიორი ორგანიზაცი/ებ/ის გამტარუნარიანობა;

გ) მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა;

დ) პროგრამის განხორციელების ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;

ე) პროგრამაზე წინა წლ/ებ/ის რეგისტრანტების, ჩარიცხული და პროფილით დასაქმებულთა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი (არსებული პროგრამის შემთხვევაში);

ვ) სხვადასხვა ან იმავე პროგრამაზე სხვადასხვა ან იგივე მოდულის ერთსა და იმავე სივრცეში განხორციელების თავსებადობა.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა

1. დირექტორის მოადგილე ხელმძღვანელობს კოლეჯის ადამიანური, მატერიალური, სასწავლო და ფინანსური რესურსის ანალიზს და ადმინისტრირებას უწევს პროგრამის დამატების შესაძლებლობების განსაზღვრას, ახალი პროგრამების შემუშავებას, დანერგვას, განვითარებასა და გაუქმებას;
2. გამოკვეთილი გარემოებების საფუძველზე, დირექტორის მოადგილე მიმართავს კოლეჯის დირექტორს პროგრამის დამატების ინიციატივით, ეს უკანასკნელი კი ბრძანებით ქმნის პროგრამის შემუშავების ჯგუფს (შემდგომში - „ჯგუფი") და განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელს, ჯგუფის შემადგენლობას და სამუშაო ვადებს;
3. ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ:

   ა) დირექტორი;

   ბ) დირექტორის მოადგილე;

   გ) სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი;

   დ) პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;

   ე) პროგრამის ხელმძღვანელი და მასწავლებელი;

   ზ) პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლ/ებ/ი;

   ზ) ბუღალტერი;

   თ) დირექტორის გადაწყვეტილებით სხვა პირ/ებ/ი.
4. დირექტორის მოადგილე ჯგუფს აცნობს პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით, სტანდარტებითა და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;
5. ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობებია:

   ა) შესაბამისი პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტი) შესწავლა;

   ბ) პროგრამის სახელწოდების განსაზღვრა;

   გ) არსებობის შემთხვევაში, კვალიფიკაციის მიზნებისთვის, არჩევითი მოდულების საჭიროების განსაზღვრა;

   დ)კონკრეტული უცხოური ენის შერჩევა;

   ე) პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლების კანდიდატურების მოძიება, შეფასება და შერჩევა, პროგრამის მდგრადობისთვის მასწავლებლების რაოდენობის და დატვირთვის გათვალისწინებით,

იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს დარგობრივი მოდულების ერთზე მეტი პირის მიერ განხორციელება;

3) პროგრამის ძირითადი დოკუმენტის და მოდულების ადაპტირება;

3.ა) მოდულის ზოგადი და სტანდარტული ჩანაწერები ცვლილებას არ ექვემდებარება, ხოლო ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვება შესაბამისი უწყების ინფორმირება;

3.ბ) მოდულის დამხმარე ჩანაწერები ადაპტირდება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია სტანდარტულ ჩანაწერებთან სრული თავსებადობა; მოდულის მოცულობა კრედიტებში და დამოუკიდებელი საათების ჯამი ცვლილებას არ ექვემდებარება;

3.გ) რეკომენდებულია მოდულში განხორციელების ადგილის მითითება (კოლეჯის ბაზა/ პარტნიორი ორგანიზაციის ბაზა).

ზ) მატერიალური რესურსის განსაზღვრა - კოლეჯის რესურსის ანალიზი პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან (ჩარჩო დოკუმენტი) მიმართებით და შესასყიდი აღჭურვილობის და მასალა-ნედლეულის იდენტიფიცირება; შერჩევისას გაითვალისწინება, რომ აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას, შესაძლებელია საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სარეკომენდაციო ნუსხის ჩამონათვალში ცვლილება სათანადო არგუმენტაციით. დასაშვებია გარკვეული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა პარტნიორი ორგანიზაციის ობიექტზე;

თ) სასწავლო რესურსის განსაზღვრა - კოლეჯის რესურსის ანალიზი პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან (ჩარჩო დოკუმენტი) მიმართებით და შესასყიდი სასწავლო რესურსის იდენტიფიცირება; გაითვალისწინება, რომ სახელმძღვანელოები, სასწავლო მასალები და ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას; შესაძლებელია საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სარეკომენდაციო ნუსხის ჩამონათვალში ცვლილება სათანადო არგუმენტაციით;

ი) პარტნიორი ორგანიზაციის მოძიება და შერჩევა ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

კ) სასწავლო გეგმის შედგენა - გასათვალისწინებელია პროგრამის ხანგრძლივობის შესახებ საკანონდებლო მოთხოვნები, მოდულ/ებ/ის წინაპირობები, მათ შორის დამატებითი შეფასების და გასაჩივრების ვადები, დარგობრივი შინაარსის/სპეციფიკის მიხედვით მოდულების გონივრული თანმიმდევრობა;

ლ) საპროგნოზო ბიუჯეტის განსაზღვრა - რენტაბელობის ზღვარის (პროგრამის მდგრადი განხორციელებისთვის საჭირო სტუდენტების მინიმალური რაოდენობა) დადგენა;

მ) კვოტის განსაზღვრა ამ წესით დადგენილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით;

6. პროგრამა მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ძირითადი დოკუმენტი;

ბ) მოდულები, მათ შორის ქართული ენის მოდულ/ებ/ი;

გ) სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის);

დ)სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი;

ე) ადამიანური რესურსი;

ვ)პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.

7. ჯგუფი აწვდის შემუშავებულ დოკუმენტებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომელიც უფლებამოსილია წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგად, პროგრამის კანონმდებლობასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, გასცეს რეკომენდაციები;

8. ჯგუფის ხელმძღვანელი წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემუშავებულ პროგრამის პროექტს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დადებითი რეკომენდაციით, ასევე შერჩეული პარტნიორი

ორგანიზაციების ჩამონათვალს, შესყიდვის მიზნით იდენტიფიცირებული მატერიალური და სასწავლო რესურსის ჩამონათვალს; პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების და პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტებს;

9. კოლეჯის დირექტორი ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის პროექტის წარდგინებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამტკიცებს პროგრამას ბრძანებით და კომპეტენციის შესაბამისად, გასცემს დავალებას:

ა) შესყიდვების განხორციელება;

ბ) მასწავლებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შრომის შინაგანაწესის შესაბამისად;

გ) პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დოკუმენტის გაფორმება ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 5. პარტნიორი ორგანიზაციის შერჩევის წესი

1. პარტნიორი ორგანიზაციის შერჩევისას კოლეჯი ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობის და საკუთარი, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გაცნობიერება და პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

ბ) ადამიანური და მატერიალური რესურსის პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

გ) საჭიროების შემთხვევაში: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზია/ნებართვა ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;

დ) შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგ/ებ/ის მიღწევის შესაძლებლობებისთვის სტუდენტებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

ე) პროფესიონალიზმი.

2. კრიტერიუმების შეფასებას კოლეჯი ახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების შესაბამისად:

ა) „ა)" კრიტერიუმი ფასდება შემდეგი ინდიკატორებით:

ა.ა) კომპეტენტური კადრების მომზადებისთვის მზადყოფნა და საჭიროების გააზრება;

ა.ბ) თანამშრომლობის ინტერესი და მოსალოდნელი შედეგები;

ბ) „ბ)" კრიტერიუმი ფასდება შემდეგი ინდიკატორებით:

ბ.ა) პრაქტიკის ხელმძღვანელის კომპეტენცია:

ბ.ა.ა) სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენცია;

ბ.ა.ბ) გამართული კომუნიკაციის უნარი;

ბ.ა.გ) ორგანიზებულობა;

ბ.ა.დ) ვადებზე ორიენტირებულობა;

ბ.ბ) სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო აღჭურვილობის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, ამასთან გაითვალისწინება მიმდინარე ტენდენციების შესაბამისი ინფრასტრუქტურის/აღჭურვილობის ფლობა;

გ) „გ)" კრიტერიუმი ფასდება შემდეგი ინდიკატორებით:

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიის/ნებართვის ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა;

დ) „დ)" კრიტერიუმი ფასდება შემდეგი ინდიკატორებით:

დ) უსაფრთხოების და ჰიგიენური ნორმების დაცვის თაობაზე დოკუმენტი;

ე) „ე)" კრიტერიუმი ფასდება შემდეგი ინდიკატორებით:

ე.ა) განვითარებაზე ორიენტირებულობა;

ე.ბ) გამოცდილება/ცნობადობა/რეპუტაცია;

ე.გ) მოწესრიგებული თანამშრომლობა/მოქნილი კომუნიკაცია.

3. კრიტერიუმის/ინდიკატორის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების მეთოდები შესაძლოა იყოს:

ა) გასაუბრება;

ბ)დოკუმენტების შესწავლა;

გ)გამოკითხვა;

დ)დაკვირვება.

4. მეთოდების სპეციფიკის გათვალისწინებით მტკიცებულებები შესაძლოა იყოს:

ა) ჩეკლისტი;

ბ)ორგანიზაციის მიერ წარმოებული/შექმნილი დოკუმენტები, რომლებიც საკმარისია ინდიკატორის შეფასებისთვის;

გ) გამოკითხვის შედეგები.

5. შერჩეულ ორგანიზაციასთან კოლეჯი აფორმებს შესაბამის თანამშრომლობის დოკუმენტს (ხელშეკრულება/მემორანდუმი), სადაც მიეთითება შემდეგი მონაცემები და თანამშრომლობის პირობები:

ა) მხარეების საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

გ) მოდულ/ებ/ის დასახელება;

დ) პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართ/ებ/ი;

ე) ერთდროულად მისაღები სტუდენტების რაოდენობა;

ვ) პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში, ასევე აღნიშნულ პროცესებში მისი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები (გეოგრაფიული მდებარეობა, ტრანსპორტირება და სხვა);

ზ) ორგანიზაციის ვალდებულებები პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;

თ) ხელშეკრულების ვადა, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი;

ი) პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე პრაქტიკის ხელმძღვანელის დანიშვნის ვალდებულება;

კ) სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალურ რესურსის ჩამონათვალი (დანართის სახით) და სტუდენტების მიერ მასთან წვდომის ვალდებულება;

ი) მხარეების სხვა უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხები.

ე) სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერა (დანართის სახით), მათ შორის, ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ;

ვ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილება მხარეებს შორის (დუალური პროგრამების შემთხვევაში);

ზ) ინფორმაცია სტუდენტის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და სტუდენტისთვის შრომითი ხელშეკრულების მიღმა მატერიალური/ფინანსური დახმარების გაწევის, დაზღვევის პირობების თუ სხვა ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში (დუალური პროგრამების შემთხვევაში).

მუხლი 6. პროგრამის შეფასება, განვითარება, შეცვლა და გაუქმება

1. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახდენს პროგრამის შეფასებას, რისთვისაც იყენებს ვერიფიკაციის შედეგებს, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, ინტერვიუს, გამოკითხვებს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული გამოკითხვის/კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. პროგრამის შეფასება მიემართება შემდეგ საკითხებს:
   ა) პროგრამის შინაარსი და ხანგრძლივობა;
   ბ)სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და თანამედროვე მოთხოვნებთან;
   გ) სასწავლო რესურსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;
   დ) მატერიალური რესურსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებთან;
   გ) მასწავლებლების დარგობრივი კომპეტენციის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;
   ე) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
   ვ) ჩარიცხული, სტატუსშეწყვეტილი, სტატუსშეჩერებული, მობილობით მოსარგებლე სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტატისტიკის ანალიზი.
3. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეფასების შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელიც შესაძლოა მიემართებოდეს პროგრამის განვითარებას, ცვლილებას ან გაუქმებას;
4. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროგრამის განვითარების რეკომენდაციების გავრცელებას უზრუნველყოფს მომდევნო ციკლის განხორციელების დაწყებამდე კორექტირებისთვის საჭირო გონივრული ვადის გათვალისწინებით;
5. პროგრამაში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების საფუძველი შესაძლოა იყოს:
   ა) პროგრამის შეფასების შედეგები;
   ბ)პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში (ჩარჩო დოკუმენტი) ცვლილება;
   გ) საკანონმდებლო ცვლილებები.
6. პროგრამაში ცვლილების ინიციატორი შესაძლებელია იყოს:
   ა) ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
   ბ) პროგრამის ხელმძღვანელი;
   გ) მასწავლებელი;
   დ) პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;
   ე) სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.
7. კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილება პროგრამის იმ ნაწილში, რომელიც ექვემდებარება ადაპტირებას შემუშავების ეტაპზე, ხოლო ცვლილებების საჭიროების იმ ნაწილში გამოკვეთის შემთხვევაში, რომლებიც არ ექვემდებარება კოლეჯის მიერ ადაპტირებას, ახდენს შესაბამისი უწყების ინფორმირებას;
8. იმ შემთხვევაში თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილებების საჭიროება გამოწვეულია კომპეტენციის პარამეტრის ფარგლების ან/და შესრულების კრიტერიუმების დამაზუსტებელ/განმსაზღვრელ ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებებით, კოლეჯი ახდენს შესაბამის ცვლილებებს და ატყობინებს შესაბამის უწყებას აღნიშნულის თაობაზე;
9. პროგრამაში ცვლილება და პროგრამის გაუქმება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;
10. პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების მასშტაბური ხასიათის შემთხვევაში, პროგრამაში ცვლილება ხორციელდება პროგრამის შემუშავების სათანადო ეტაპების დაცვით.